



სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/90

11.12.2018 წ.

ელექტრონული დეკანატის საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვისათვის გამოიყენება ელექტრონული სისტემა „ელექტრონული დეკანატი“ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივნისის დადგენილება № 55 (15/16)). მისი მეშვეობით ელექტრონულად ხდება, როგორც სასწავლო, ასევე საგამოცდო პროცესის წარმართვა. სისტემა ითვალისწინებს ახალი მომხმარებლების პერიოდულ დამატებას და მათ სწავლებას სისტემის მოხმარების კუთხით. რიგ შემთხვევაში, დგება საჭიროება სისტემის მდგომარეობის მონიტორინგისა და წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის მიზნით სისტემის ადმინისტრირების სხვადასხვა დონის მომხმარებლებთან კომუნიკაციის დამყარება. გარდა ამისა, სისტემა საჭიროებს მუდმივ ადმინისტრირებას. ყოველივე ეს განაპირობებს სისტემის საკონსულტაციო ჯგუფის შექმნისა და სისტემის ადმინისტრატორის დანიშვნის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნულის მოწესრიგების მიზნით ვბრძანებ:

1. შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მანანა ლეკვეიშვილი, თეონა იობიძე, ნათია მანდარია და ია ოდიშარია - სტუდენტთა აღრიცხვისა და მომსახურების განყოფილების ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტები.

თითოელის ხელფასი განისაზღვროს 375 ლარი თვეში, 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე.

2. დავით ლეკვეიშვილს - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, დაევალოს სისტემის ადმინისტრირება და საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა, რისთვისაც მისი თვიური ანაზღაურება განისაზღვროს 1250 ლარით 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე.

3. სისტემის მომხმარებელთა უფლება - მოვალეობები განისაზღვროს დანართი 1-ით.

საფუძველი: პირადი განცხადებები, რექტორის მოადგილის შ.კირთაძის სამსახურეობრივი ბარათი.

რექტორი:



[Handwritten signature]

პროფესორი გიორგი ღავთაძე

პროექტი შეაქვს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილეს;

[Handwritten signature]

ასოც.პროფესორი გივი ლობჯანიძე


ასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა - „eDean“ არის WEB-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ელექტრონული სისტემა - WEB-საიტი, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის განხორციელება ონ-ლაინ რეჟიმში.

სისტემა წარმოადგენს სტანდარტული სახის „სერვერ-კლიენტის“ ურთიერთობის პროგრამულ რეალიზაციას. პროგრამირების ენად გამოყენებულია: სერვერის მხარეს -დინამიური WEB-გვერდის შექმნის პროგრამირების ენა PHP (პერიფერიული ჰიპერტექსტური პრეპროცესორი), კლიენტის მხარეს - მაკროსების ენა JavaScript (jQuery - ბიბლიოთეკის მხარდაჭერით). სერვერის მხარეს HTML კოდის ფორმირებისათვის PHP-სთან ერთად გამოყენებულია CSS. კლიენტის მოთხოვნა სერვერს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეგზავნება POST მეთოდით.

WEB-საიტის URL მომხმარებელთა და მათი მოთხოვნების მრავალფეროვნების მიუხედავად, უნიკალურია და წარმოადგენს <http://10.10.11.11:8080/dekanati> უნივერსიტეტის შიდა ქსელისათვის (ინტრანეტი) და <http://94.43.132.98:8080/dekanati> გარე ქსელისათვის (ინტერნეტი). WEB-საიტი განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა სერვერზე.

შენიშვნა: სატესტო პერიოდის დასრულებისა სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირების მომენტისათვის უნივერსიტეტის მხრიდან დომენური სახელისა და WEB-სერვერზე WEB-სერვისის შექმნის შემთხვევაში URL შეიცვლება და ამის შესახებ ეცნობება სისტემის ყველა მომხმარებელს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

სისტემა დახურულია და მასზე წვდომის უფლება სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ სისტემით განსაზღვრული მომხმარებლის ტიპის შესატყვისი სტატუსის მქონე უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პირებს.



სისტემაში ახალი მომხმარებლის რეგისტრაციას ახდენს სისტემაში უკვე რეგისტრირებული მომხმარებლები - უნივერსიტეტში ადმინისტრირების უფლების მქონე თანამდებობის პირები. ამასთან, ამ უკანასკლელთა ვალდებულებაა თანამდებობრივად მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა პირის რეგისტრაცია (დეაქტივაცია/აქტივაცია) შესაბამისი სამართლებლივი აქტის მიღებისთანავე.

გამონაკლისს ზოგადი წესიდან წარმოადგენს რექტორი - უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრატორი - საიტის ადმინისტრატორი. ადმინისტრატორის რეგისტრაცია ხდება სისტემის ინსტალაციისას, ხოლო რექტორს არეგისტრირებს ადმინისტრატორი. რექტორთან მიმართებაში ცვლილებები სისტემაში აისახება ადმინისტრატორის მიერ, ხოლო ადმინისტრატორთან მიმართებაში - რექტორის მიერ.

სისტემის ადმინისტრატორი შეირჩევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

რეგისტრაციის პროცესი გულისხმობს შესაბამისი WEB-ფორმის მეშვეობით პირის შესახებ მინიმალური პირადი მონაცემების (გვარი, სახელი, პირადი ნომერი) და საავტორიზაციო პაროლის სისტემის ბაზებში შეტანას და საავტორიზაციო პაროლის მომხმარებელზე გადაცემას.

მომხმარებლის სისტემაში შესვლა ხორციელდება შესაბამისი საავტორიზაციო ფორმის ველების: გვარი, სახელი (ქართულად) და პაროლისა და სესიის კოდის (ლათინურ-ციფრული ანბანი) შევსებით და სერვერზე მოთხოვნის გაგზავნით. სერვერიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში, მომხმარებელი ხვდება ტიპის შესაბამის გარემოში, შესატყვისი უფლებამოსილებებით, რომელიც განისაზღვრება ჰორიზონტალური მენიუს ოფციებით.

პაროლის დავიწყების შემთხვევაში მომხმარებელი მიმართავს რეგისტრატორს (დაქვემდებარების მიხედვით უშუალო უფროსს, სტუდენტის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი) ახალი პაროლის მიღების მიზნით.

მომხმარებელი ვადებულია სისტემაში პირველივე შესვლიდანვე შეცვალოს პაროლი, და შეინახოს მისი მნიშვნელობა საიდუმლოდ. პაროლის სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია. აგრეთვე, ოფცია „პროფილი“-ის მეშვეობით შეიტანოს სისტემაში პირადი მონაცემები, დაკავშირებული მის უნივერსიტეტში საქმიანობის, უფლებამოსილების განხორციელებასთან.

სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე მომხმარებელი მიმართავს მხოლოდ და მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელს დაქვემდებარების მიხედვით.

„სტუდენტის“ გარდა სხვა ტიპის მომხმარებელი ვალდებულია სისტემაში რეგისტრაციიდან უმოკლეს ვადაში სისტემაში შეტანოს მონაცემები პროფესიული „CV“-სათვის და პერიოდულად მოახდინოს მასში ცვლილებების შეტანა.

1. რექტორი:

- 1.1. არეგისტრირებს ფაკულტეტებსა და დეკანებს.
- 1.2. არეგისტრირებს სამსახურებსა და მათ უფროსებს.
- 1.3. არეგისტრირებს რექტორის მოადგილეებს.
- 1.4. ეცნობა უნივერსიტეტის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულთან და ნებისმიერ მომხმარებელთან მიმართებაში სისტემის მიერ გენერირებულ ანგარიშებს და სარგებლობს ამ ინფორმაციით თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.

2. დეკანი:

- 2.1. რეგისტრაციაში ატარებს დეპარტამენტებს და მათ ხელმძღვანელებს.
- 2.2. რეგისტრაციაში ატარებს დეკანის მოადგილეებსა და დეკანატის თანამშრომლებს.
- 2.3. ეცნობა დაქვემდებარების მიხედვით ფაკულტეტის დეპარტამენტებისა და ნებისმიერ მომხმარებელთა მიმართებაში სისტემის მიერ გენერირებულ ანგარიშებს.
- 2.4. სასწავლო წლის დაწყებამდე, როგორც კი ცნობილი გახდება უნივერსიტეტში ჩასარიცხი სტუდენტების ნუსხა, სისტემაში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ქმნის აკადემიურ ჯგუფებს საჭირო რაოდენობით, სალექციო ნაკადებს და ანაწილებს სტუდენტებს ჯგუფებში რექტორის ბრძანების

- დაშვებისთანავე. სალექციო ნაკადის შექმნა აუცილებელია მაშინაც კი, თუ ამ ნაკადში მხოლოდ ერთი ჯგუფი იქნება.
- 2.5. თუ ფაკულტეტი ახორციელებს მაინორ-პროგრამებს, პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან ანაწილებს და ანაწილებს სტუდენტებს ამ ჯგუფებში.
- 2.6. აუცილებლობის შემთხვევაში მცირერიცხოვან აკადემიურ ჯგუფებს აერთიანებს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე
- 2.7. შესაბამის სემესტრის დაწყებამდე 10 დღით ადრე მაინც, ჯგუფებს განუსაზღვრავს პროგრამულ მოდულს (მიმართულებას) ასეთის არსებობის შემთხვევაში (საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტები გადაყავს მოდულის შესაბამის ჯგუფებში).
- 2.8. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ბრძანების გამოსვლისთანავე ახორციელებს შესაბამისი ქმედებას სისტემაში და გადაამუშავებს სტუდენტის სასწავლო ბარათს. ამასთან, თუ სტუდენტი გადის მაინორ-პროგრამას, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის მოძრაობა უნდა ასახოს მაინორ-ჯგუფებშიც და თუ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სხვა ფაკულტეტის დეკანთან, მას უნდა გადაუზღავნოს შესაბამისი ბრძანების ასლი (eflow სისტემით) შესაბამისი რეზოლუციით.
- 2.9. სისტემატურად აკონტროლებს დაქვემდებარების მიხედვით სისტემაში სხვა დონის მომხმარებლების საქმიანობას და ითხოვს მათგან საჭირო ქმედებების დროულ განახორციელებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეცადინეობებისა და საგამოცდო ცხრილების ფორმირების მიმდინარეობას სემესტრის დასაწყისში და უწყისების წარმოებას საგამოცდო პერიოდში.
3. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
- 3.1. სისტემაში არეგისტრირებს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათ ხელმძღვანელებს.
- 3.2. სისტემაში არეგისტრირებს დეპარტამენტის ყველა დონის პროფესორ-მასწავლებლებსა და სასწავლო მეცადინეობების წარმართვის მიზნით მოწვეულ სპეციალისტებს.
- 3.3. სისტემაში არეგისტრირებს დეპარტამენტის სხვა სასწავლო-დამხმარე პერსონალს.
- 3.4. აკონტროლებს საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების ასახვას სასწავლო გეგმებში და შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითებთ პროგრამის ხელმძღვანელებს /მენიუს ოფცია "პროგრამები"/.
- 3.5. აკონტროლებს დეპარტამენტის მიერ წასაყვანი საგნების ნუსხას და ამყარებს კომუნიკაციას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენისას მისი აღმოფხვრის მიზნით /მენიუს ოფცია "საგნები"/.
- 3.6. დეპარტამენტის მიერ წასაყვანი საგნებისათვის განსაზღვრავს იმ პროფესორების ნუსხას, რომლებიც უფლებამოსილი არიან წაიყვანონ მეცადინეობის ესა თუ ის ფორმა /მენიუს ოფცია "საგნები"/ საგნებში, რომელიც შეესაბამება საკონკურსო პირობების შედეგად დაკავებულ თანამდებობას და აკონტროლებს პერსონალის მხრიდან საგანთა სილაბუსების შეყვანის მდგომარეობას.
- 3.7. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ადგენს დეპარტამენტის სასწავლო დატვირთვის პროექტს /მენიუს ოფცია "დატვირთვა"/ და ანაწილებს ამ დატვირთვას დეპარტამენტის წევრებზე /მენიუს ოფცია "განაწილება"/. ამასთან, ყოველი სემესტრის დაწყებისას აკონტროლებს პროფესორთა მხრიდან

მეცადინეობების ცხრილის შედგენის მდგომარეობას და თხოვს მათ ჩამორჩენის დაუყოვნებლივ აღმოფხვრას.

- 3.8. ყოველი ახალი სემესტრისათვის სტუდენტებს, რომლებმაც გამოთქვეს კრედიტების ათვისების სურვილი აკადემიურ დავალიანებაში მქონე საგნებში, განუსაზღვრავს აკადემიურ ჯგუფს, რომელთანაც ერთად განმეორებით უნდა გაიაროს სტუდენტმა შესაბამისი საგანი /ოფცია "ასათვისებელი"/. ანალოგიურ ქმედებას ახორციელებთ ზამთრისა და ზაფხულის სკოლებში რეგისტრირებული სტუდენტებისათვის /ოფცია "სკოლა"/.
- 3.9. სწავლების პირველი და მეორე წლის აკადემიური ჯგუფებისათვის განსაზღვრულ კურატორებს ასახავს სისტემაში.
- 3.10. სისტემატურად აკონტროლებს დეპარტამენტის წევრებისაგან სტუდენტთა შეფასებების სისტემაში ასახვის მდგომარეობას და უზრუნველყოფს მათი მხრიდან ნებისმიერი დავალიანების აღმოფხვრას /ოფციები "უწყისები" და "განმეორებითი"/.
- 3.11. უფლებამოსილია გაეცნოს დაქვემდებარების მიხედვით ნებისმიერი პერსონალისა და ნებისმიერი აკადემიურ ჯგუფთან მიმართებაში სისტემის მიერ გენერირებულ ანგარიშებს.

4. პროგრამის ხელმძღვანელი:

- 4.1. სისტემაში შეაქვს ახალი სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ვადით აკრედიტაციისა შემთხვევაში.
- 4.2. შეაქვს ცვლილებები მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში უფლებამოსილი მართვის ორგანოების მიერ მათი არსებული წესით დამტკიცების შემთხვევაში. ამასთან, თუკი საგანში იცვლება სტუდენტთა კვირეული დატვირთვა მეცადინეობათა ფორმების მიხედვით, თხოვს დეპარტამენტის ხელმძღვანელს, საგანზე მიმაგრებული აკადემიური პერსონალის ანულირებას, შლის სასწავლო გეგმიდან საგანს და ხელახლა არეგისტრირებს ახალი რეკვიზიტებით. ამასთან, საგანში კრედიტების ან სემესტრის ცვლილებისას, საჭიროა გარდამავალი სასწავლო გეგმის შედგენა და მისი რეგისტრაცია სისტემაში ფაკულტეტის დეკანის მხრიდან უკვე მიღებულ აკადემიურ ჯგუფებთან მიმართებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვალდებულებით. დაუშვებელია გარდამავალ გეგმაში უკვე რეალიზებულ საგნებში რაიმე ცვლილების განხორციელება.
- 4.3. სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების დასრულებას აცნობებს შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს საგნებისათვის აკადემიური პერსონალის ხელახლა განსაზღვრის მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში აკადემიურ პერსონალს მოუწევს სისტემაში ახალი სილაბუსების შეტანა.
- 4.4. უფლებამოსილია გაეცნოს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების აკადემიურ მონაცემებს და რომელიმე საგანში გაუმართლებელი ცუდი მდგომარეობის შემთხვევაში მიმართავს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელს სამომავლოდ აკადემიური პერსონალის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვის მიზნით.

5. პროფესორი:

- 5.1. ეცნობა ნუსხას საგნებისა, რომლებშიაც უფლებამოსილია წაიყვანოს მეცადინეობათა ესა თუ ის ფორმები, რომელიც განსზღვრა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა /ოფცია "წიგნები"/.

- 5.2. საგნების ნუსხის არასისრულის და/ან ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს დეპარტამენტის ხელმძღვანელს.
- 5.3. თითოეული საგნისათვის სისტემაში შეაქვს სილაბუსი და სასწავლო რესურსები (საწყის ეტაპზე მინიმალური კონფიგურაციით მაინც, თანდათან სრულყოფის პერსპექტივით).
- 5.4. მომავალი სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვას ეცნობა "ცხრილები" ოფციით.
- 5.5. სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ადგენს მეცადინეობებისა და გამოცდების ცხრილებს სისტემაში ჩადგმული პროგრამული ხელსაწყოების მეშვეობით.
- 5.6. სტუდენტთა შეფასებას ახორციელებს "ნიშნები" ოფციით უნივერსიტეტში დადგენილი წესებით განსაზღვრულ ვადებში.

6. სტუდენტი:

- 6.1. აკონტროლებს სასწავლო ბარათში ასახული ინფორმაციის სისწორეს და შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობებს ფაკულტეტის დეკანს.
- 6.2. ახალი სემესტრის დაწყებამდე 10 დღით ადრე სისტემაში ირჩევს „არჩევითი“ სტატუსის საგნებს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული რაოდენობით. აგრეთვე, იმ საგნებს, რომლებშიაც აქვს აკადემიური დავალიანება და სურს მათი განმეორებითი შესწავლა. ამასთან, ვალდებულია აკონტროლოს ის გარემოება, რომ კრედიტების ჯამმა სავალდებულო და არჩეულ/დამატებულ საგნებში არ შეიძლება გადააჭარბოს კანონმდებლობით დადგენილ რაოდენობას.
- 6.3. სისტემით უზრუნველყოფილი პროგრამული მოდულებისა და დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევისათვის დადგენილ ვადებში ახორციელებს შესაბამის ქმედებებს სისტემასთან მიმართებაში.
- 6.4. სისტემაში ინტეგრირებული ხელსაწყოების მეშვეობით ახორციელებს შესაბამისი დონის მომხმარებლის ინფორმირებას და ღებულობს პასუხს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე.

7. ადმინისტრატორი:

- 7.1. სისტემის ადმინისტრატორი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ახორციელებს სისტემის ადმინისტრირებას ადნინ-პანელის (cPanel) მეშვეობით, რომელსაც ადმინისტრატორი თვითონ ქმნის თავისი შეხედულებების მიხედვით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფისა და სისტემის შეუფერხებელი და ადექვატური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.
- 7.2. WEB-სერვერზე საჭირო ქმედებების განსახორციელებლად WEB-სივრცეზე წვდომისათვის საჭირო რეკვიზიტები ადმინისტრატორს გადაეცემა რექტორის ან განთავისუფლებული ყოფილი ადმინისტრატორისაგან შესაბამისი გადაბარების ოქმის შედგენის ვალდებულებით.

8. სხვა დონის მომხმარებლები:

- 8.1. სისტემის სრულყოფის კვალობაზე მათი სისტემაში უფლებამოსილებების განსაზღვრისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის შემდეგ ახორციელებენ სისტემით ნებადართულ ქმედებებს.

სისტემის სრულყოფის მიზნით სისტემაში ცვლილების განხორციელებისთანავე შესაბამისი დონის მომხმარებლები ინფორმირებული იქნებიან უშუალო ხელმძღვანელების მიერ და ვალდებული არიან განახორციელონ შესაბამისი ქმედებები სისტემაშივე ინტეგრირებული ინსტრუქციების შესაბამისად ვინმეს მხრიდან დამატებითი სწავლების გარეშე.

სისტემის თითოეული მომხმარებელი ვალდებულია დროულად განახორციელოს როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები, აგრეთვე საკანონმდებლო თუ სხვა ლეგიტიმური ცვლილებებით თუ აქტებით დამდგარი აუცილებლობით გამოწვეული ახალი ვალდებულებები. სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები განხილვა უნდა წარიმართოს უნივერსიტეტში დადგენილი საერთო წესით.